

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის №118/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ წულუკიძე (სტუდენტი)

ფაქტები:

ეთიკის კომისიის საჩივრით მიმართა ადვოკატის პროცესუალური მოწინააღმდეგის მშობელმა და მოთხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მის საცხოვრებელ სახლში გაფრთხილების გარეშე მივიდა და შეამოწმა შესასვლელები. ადვოკატს სურდა წილების გადანაწილების მიზნით სახლის აზომვითი ნახაზების ჩატარება. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი სასამართლო პროცესზე შეეხო მის პირად ცხოვრებას და შეურაცხყოფა მიაყენა შემდეგი სიტყვებით: „საცოდავი ბავშვები შენს ხელში; ვისი ღირსიც იყო შენი მეუღლე, ის მიიყვანა შენი სახით“. მოსამართლემ წესრიგის დარღვევისათვის დარბაზი დაატოვებინა საჩივრის ავტორს, ხოლო ადვოკატს მისცა უფლება დასწრებოდა სხდომას დასრულებამდე.

სამართლებრივი შეფასება

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, თუმცა, რიგ შემთხვევაში იგი ექვემდებარება შეზღუდვას თუ იგი ლახავს სხვათა უფლებებს ან ღირსებას. კონსტიტუციით აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება „თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით. ამ უფლებით, სხვა მოქალაქეების მსგავსად ადვოკატებიც სარგებლობენ. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა და ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს. ადვოკატის მიერ წარმოთქმული სიტყვები არ შეფასდა, როგორც დარღვევა, მოექცა გამოხატვის თავისუფლების დაცულ სფეროში და დადგინდა, რომ ის არ ლახავს პირის ღირსებას. გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, ადვოკატს უფლება ჰქონდა, რომ ამ ფორმით გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება. ამიტომ, ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრას შესაძლოა ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი სხვა ადვოკატებისათვის გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. შესაბამისად, არ მოხდა საჩივრის ავტორის მითითების გაზიარება ადვოკატის მხრიდან მის განზრახ შეურაცხყოფაზე. სხდომის მიმდინარეობისას, მოსამართლემ წესრიგის დარღვევისათვის დარბაზი დაატოვებინა საჩივრის ავტორს, ხოლო ადვოკატს მისცა უფლება დასწრებოდა სხდომას დასრულებამდე. ამდენად, ადვოკატს არ დაურღვევია საზოგადოებრივი წესრიგი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე მასაც დაატოვებინებდა სხდომის დარბაზს. ადვოკატი საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით. მას კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით უფლება აქვს გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპისა და ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება უპირატესია კლიენტის ინტერესების უპირატესობის დაცვის მოვალეობასთან შედარებით. კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით მტკიცებულებებს

¹ <https://gba.ge/pdf/5c529a0bcdebff.pdf/5c529a0bcdebff.pdf>



წარმოადგენენ მხარეები, ხოლო აზომვი ნახაზი წარმოადგენდა მტკიცებულებას. საზიარო უფლების გაუქმებისათვის აუცილებელი იყო საცხოვრებელი სახლის აზომვითი ნახაზების ჩატარება, რასაც ადასტურებს თავად საჩივრის ავტორი მოსამართლესთან შეთანხმებით. შესაბამისად, ადვოკატის მოთხოვნა აზომვითი ნახაზების ჩატარების თაობაზე კანონიერია. აზომვითი ნახაზების სპეციალისტის განმარტებით, მხოლოდ საჩივრის ავტორის თანხმობის შემთხვევაში იყო შესაძლებელი ნახაზების გაკეთება. ასევე, ადვოკატმა მცხეთის რაიონულ სამმართველოს მიმართა განცხადებით დახმარების თხოვნით და შესაძლო ინციდენტის ასარიდებლად. მცხეთის რაიონულმა სამმართველომ მიუთითა საჩივრის ავტორის შვილის თანხმობის აუცილებლობაზე და უარი თქვა იძულების ღონისძიების გამოყენებაზე. აღნიშნული მტკიცებულებების მიხედვით, ადვოკატს არ განუხორციელებია უკანონო ქმედება, რადგან მან სასამართლოს მიმართლოს განცხადებით, მანამ სანამ დაიწყებდა აზომვითი ნახაზების შექმნას. ადვოკატი არ ადასტურებს შანტაჟის განხორციელების ფაქტს და საქმეშიც არ მოიპოვება შესაბამისი მტკიცებულებები.

დასკვნა

ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.